**რედაქცია**
უენსმეიდანზე,შუასაბჩრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რეუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**
ყველა ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთ-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(სალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 2 მაისს. გუშინ წავიდა აქედამ პარიჟში რუსის ელჩი ორლოვი. დღეს სადამოს პეტერბურღში ოდესის გენერალ-გუბერნატორს ტოტლებენს მოელიან.

**ოდესსა**, 1 მაისს. გუშინ ცეცხლის გემით „ნახიმოვით“ მოასვენეს აქ სტამბოლში მოკლულის რუსის ადმირალის კუმერაუს გვამი; დღეს იგი დაასაფლავეს და ამ დასაფლავებაზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

**ლონდონი**, 3 მაისს. გამოცხადებულია $4^1/_2$ სარგებლიანი სესხის ბილეთების გამოცემა 314 ლაკის რუფიისა, რომელიც 2,608,333 გირვანქა სტერლინგს უდრის. ინგლისის მთავრობა იღებს ამ სესხს ავღანის ომის ხარჯის შესავსებლად.

**ს.-პეტერბურღი**, 3 მაისს. დღეს აქ მაისის პარადია (დახედვა) ჯარებისა.

**ოდესსა**, 3 მაისს. დღეს წავიდა აქედამ სტამბოლში ახლად დანიშნული რუსის ელჩი ნოვიკოვი.

**რიგა**, 1 მაისს. სელის შესანახი მაღაზია დაიწვა.

**ირკუტსკი**, 2 მაისს. ნერჩინსკიდამ მოვიდა ამბავი, რომ მონგოლიაში ვიდაც ინგლისელები მოგზაურობენო. ამ ჟამად მონგოლიაში ყველა მცხოვრებლების ცხენებს დადავენ იმ განზრახვით, რომ როცა მთავრობას დასჭირდება წარუდგინონ. ამის გამო ბევრი მცხოვრებლები დროებით ჩვენს სამზღვარზე გადმოვლენ. სამწუხაროდ ამ გვარ ამბებს ჩვენ თითქმის ვეღარ ვტყობულობთ, რადგან ერთად-ერთი ციმბირის გაზეთი „ციმბირი“ აღარ გამოდის იმის რედაქტორის დატუსადების გამო.

**პეტერბურღი**, 3 მაისს. მაისის პარადი ჩინებულად გამოვიდა გუშინ.

**პეტერბურღის ბირჟა**, 2 მაისს.

(„სალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— — | 93 | 87 |
| მეორესი — — — — — | 92 | 62 |
| მესამესი — — — — | 93 | 37 |
| მეოთხესი — — — — | 93 | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ.— — | 90 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 90 | 62 |
| ოქრო, ½ იმპერიალი— — | 7 | 75 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 226 | 75 |
| მეორე სესხის — — — | 221 | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 35 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 215 | 75 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 266 | 65 | სანტიმი |
| ვენა — — — | 127 | 56 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## ერთი საშუალებაც კალიის გასაწყვეტად

ტფილისი, 5 მაისს.

ამ დღეებში ჩვენ გავიცანით ერთი ბოლგარიელი, რომელმანც გვიამბო— თუ რა საშუალებას ხმარობენ კალიის გასაწყვეტად იმის ქვეყანაში—ბოლგარიაში, სადაც ძალიან ხშირად და ბევრიც იცის კალიაო.

ეს საშუალება ისე მოგვეწონა, ისეთ კარგ, კეთილ-გონიერ და სამართლიან საშუალებად მიგვაჩნია; რომ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ აქ და თან არ ვურჩიოთ, ვისიც ჯერ არს, რომ ამასვე მიმართოს ხოლმე ჩვენში კალიის გასაწყვეტად:

გაჩნდება თუ არა სადმე ბოლგარიაში კალია და დაჰყრის თუ არა იქ კვერცხებს, მთავრობა იმწამსვე ჰმართავს ხოლმე კანტორებს, ბიუროებს რამდენსამე ალაგას თუ ქალაქში და თუ სოფლებში, და თან აცხადებს, რომ ყოველმა მცხოვრებმა მინისტრიდამ დაწყებული უბრალო ღატაკ-გლეხამდინ ადგილობრივ ბიუროში ამა-და-ამ ხნის განმავალობაში წარმოადგინონ ამ-და-ამდენი გირვანქა ან ფუთი კალიის კვერცხი, ან თვითონ დახოცილი კალია. ვინც დანიშნულ ვადამდინ თავის მხვედრ წონა კალიის კვერცხსა ან კალიას ვერ წარმოადგენს, იმას, თუნდა მინისტრიც იყოს, ხდება მთავრობისგანვე დანიშნული ჯარიმა, ხუთი მანეთი, ხშირად თუმანი და მეტიცა.

რასაკვირველია, ყველა არ წავა მინდვრებში და ყანებში კალიის კვერცხის ან კუტ-კალიის მოსაგროვებლად; ამ საქმეს შეუდგებიან უფრო ღარიბები, სოფლის მცხოვრებლები. ამათ შემოაქვთ ქალაქში ტომრებით ან კალათებით კალიის კვერცხი და დახოცილი კალია და შეძლებულ, მდიდარ ხალხზე ჰყიდიან, რომელიც თავის ხვედრ გარდასახადათ წარადგენს კანტორაში, საიდამაც კვიტანციას მიიღებს, რომ „კალიის ხარჯი“ გარდახდილი აქვსო.

ზემოხსენებულ ბოლგარიელის სიტყვით, ბოლგარიის ქალაქებში ხან-და-ხან ისეთი ვაჭრობა შეიქნება კალიისა, როგორც ჩვენს თფილისში გელაქუნრისა. ვადის მოახლოვებაზე ყოველის მხრიდამ დიდ-ძალი კალიის კვერცხები და კალია შემოაქვთ ქალაქებში, ვაჭრები და საზოგადოთ ქალაქის ხალხი, რომელთაც ჯარიმის გარდახდა არ უნდათ, მიცვივდებიან სოფლელებს და ჰყიდულობენ საჩქაროთ ბიუროში წასარდგენელად. ხან-და-ხან გირვანქა კალიის ფასი აბაზამდინ, ათ შაურამდინ აიწევსო.

რაც ჯარიმებიდამ ფული შემოვა,

## ფელტონი

### პოზნანელი მასწავლებლის დღიურიდან

(ნათარგმნი) *)

II

დადგა კანიკულები. მიხაკოს ცუდი ატტესტაცია მისცეს; სამს უმთავრესს საგნებში ცუდი ნიშნები ჰქონდა.

შემეხვეწა და დედას ატტესტაცია არ გაუგზავნე. „თუ გიყვარდე, ნუ გავუგზავნი, მთხოვდა მიხაკო ხელის მტვრევით, დედამ არ იცის თუ ეხლა ატტესტაცია მოგვცეს და შობისათვის ღმერთი შემეწევა.“

საცოდავს იმედი ჰქონდა და მეც ვიმედოვნებდი ნიშნების გასწორებას. მეგონა ყმაწვილი გიმნაზიის წესებს შეითვისებდა, ნემეცურ ენას შეისწავლიდა, და გამოთქმას გაისწორებდა და გაკვეთილების შესწავლა გაუადვილდებოდა. ამის იმედი რომ არ მქონოდა, მარიამს ყველაფერს დაწვრილებით მივსწერდი და მიხაკოს გარემოებას ავუხსნიდი ნამდვილათ.

მართლაც, ჩემი იმედი თან-და-თან მართლდებოდა; კანიკულების შემდეგ მიხაკომ სამი ჩინებული ნიშანი მიიღო, მათ რიცხვში ლათინურშიაც...

მიხაკოს ღმერთად მიაჩნდა დედა. კარგი ნიშნების მიღების შემდეგ ლათინურ ზმნებზე ლაპარაკობდა და კითხვებს მაძლევდა. ამ ნიშნების დაცვა შეადგენდა იმის სიცოცხლის მიზანს; მაგრამ ბედის-წერამ ეხლაც უმტყუნა: ცუდმა გამოთქმამ დალუპა ის, რაც მეცადინეობის შემწეობით მოიპოვა. იმდენ გაკვეთილებს აძლევდნენ, რომ მის დაუძლურებულს მეხსიერებას მათი შეთვისება არ შეეძლო, ერთმა შემთხვევამ კიდევ უფრო გაუმწარა სიცოცხლე:

მიხაკოს და მისს ამხანაგს დაავიწყდათ ერთი საწერი გაკვეთილის დამზადება; ამხანაგს ამ შემთხვევამ იოლათ ჩაუარა; მას არც მოკითხეს, რადგანაც პირველი შაგირდი იყო; მიხაკოს კი კლასში საზოგადოთ შენიშვნა მისცეს და დააშინეს, რომ, თუ მეორეთ გაკვეთილი არ მოგიმზადებია, გიმნაზიიდამ გამოგრიცხამთო. მასწავლებელს ეგონა, მიხაკომ განგებ არ მოამზადა დასაწერი გაკვეთილიო და საცოდავ ყმაწვილმა, რადგან გრეხა და მანჭვა არ შეეძლო მასწავლებლის წინაშე, თავი ვერ გაიმართლა. მოლაპარაკება მქონდა მასწავლებელთან ამ შემთხვევაზე, და მითხრა, თქვენ აზარმაცებთ ყმაწვილსაო... ამ გარემოებამ და კიდევ უფრო მიხაკოს დატანჯულ სახემ გამიმწარა გული.

საღამოსმიხაკომ უეცრად იტაცა თავში ხელი და წაიჩურჩულა: „მტკივა, მტკივა, მტკივა!..“ დედის ნაზმა წერილმა, რომელშიაც იგი აქებდა მიხაკოს კარგი ნიშნების მიღებისათვის, სულ მოუკლა გული საბრალოსა. სახეზე ხელს მიიფარებდა და იტყოდა: „დიახ, როგორ არა, გავახარებ დედა-ჩემს!“ მეორე დღეს, როდესაც ვაძლევდი წიგნებით გატენილ ბოხჩას, ყმაწვილი წაბარბაცდა და კინაღამ არ წაიქცა. არ მინდოდა მისი გაშვება გიმნაზიაში, მაგრამ დამარწმუნა, არა მიშავს-რაო; მხოლოდ მთხოვა, რომ გიმნაზიამდი გავყოლოდი, რადგანაც თავ-ბრუს დასხმის ეშინოდა.

შუადღეზე მიხაკო დაბრუნდა გიმნაზიიდგან; ამ დღესაც ცუდი ნიშანი მიიღო იმ გაკვეთილიდამ, რომელიც მშვენიერათ იცოდა, მაგრამ ერთის ამხანაგის სიტყვით, შიშის გამო ვეღარ მიეგო.

ამ ნაირად გიმნაზიის მთავრობამ გადასწყვიტა, რომ მიხაკო ზარმაცი, ურიჭო, მავნე აზრების და მიდრეკილების ყმაწვილიაო. თავის გასამართლებლად ბავშვი იბრძოდა, რაც შეეძლო, მეცადინეობდა; მაგრამ სულ ფუჭათ. ამ ბრძოლამ ყმაწვილი იქამდი მიიყვანა, რომ სრულიად დაკარგვინა რწმუნება თავის თავზე: ყოველი თავის შრომა და მეცადინეობა ფუჭი და უნაყოფო ეგონა, სწორ გამოთქმას ვერ შევითვისებო და ყო-

*) „დროება“ № 92

ამ ფულს მთავრობა ამ საქმეზედვე, კალიის გასაწყვეტათვე ხმარობს.

ამ ნაირად, ბოლგარიაში, ყველა ვალდებულია საზოგადო გაჭირებისთავიდამ ასაცილებლად ღვაწლში მიიღოს მონაწილეობა. მდიდრებს, დიდ-კაცებს ამით ბევრი არა აკლდებათ-რა, რადგან მუდამ წელიწადსაც რომ იყოს კალია სამი-ოთხი მანეთის გადახდა ამათ ვერას დააკლებს; ღარიბებს ის სარგებლობა ეძლევათ, რომ კალიის ვაჭრობით ცოტაოდენ ფულს იგებენ, და მთელს ხალხს, მთელს ბოლგარიას კი ეძლევა შველა კალიისგან და ამით მთელი ქვეყანა თავიდამ იცილებს შიმშილს და სხვა გაჭირებას.

ჩვენ გვგონია, რომ იმისთანა საშიშარ მტერს, როგორც კალიას, ამისთანა რადიკალური საშუალება თუ დააკლებს რასმე, თორემ სხვა ბევრს ვერაფერს მოუხერხებს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ საზოგადო გაჭირების დროს იმან უფრო მომეტებული შესწიროს, ვისაც უფრო შეძლება და ღონის-ძიება აქვს. მაგრამ ჩვენ ასე შორსაც არ მივდივართ: ჩვენ ვამბობთ, რომ ყველამ ერთნაირად იბრძოლონ, ყველამ ერთნაირი მსხვერპლი მოიტანონ-მეთქი. თორემ ეს სადაური სამართლიანობაა, რომ გლეხი, რომელსაც ხუთი-ექვსი დღიური მიწა აქვს, დღე და ღამე ოფლში იღვრება და ხოცავს კალიას, და თავადი ან აზნაური კი, რომელსაც ათასი და ორი ათასი დღიური აქვს, რომელსაც მაშასადამე ერთი-ასად ერთი-ორასად მომეტებული ზარალი მოელის, ის კი მხარ-თეძოზე წამოწოლილა და გაიძახის: „კალიის გაწყვეტა კეთილ-შობილ თავად-აზნაურის საქმე არ არის, გლეხმა და პოლიციამ უნდა ჯანი გაიგდებინონ და გაწყვიტონო?!"

ჩვენ გვგონია, რომ ზემო-ნაამბობი ბოლგარიული წესი კალიის გაწყვეტისა ღირსია ყურადღებისა და მიბაძვისა...

## ახალი ამბები

ქალაქში გავრცელებულია ხმა, ვითომც მინისტრების კომიტეტს დ. მ. კავკასიის მთავარმართებლის წინადადების თანახმად გარდაეწყვიტოს პრიკაზის ვალის საქმე, ე. ი. გარდაეწყვიტოს, რომ საქართველოს თავად-აზნაურთ სამუდამოდ და სრულიად ეპატიოს პრიკაზის ვალი და იმის გარდაუხდელი სარგებელიცაო.

ვიმეორებთ, ეს ხმა გავრცელებულია, მაგრამ ნამდვილი ამბავი და ტელეგრამმა ამ საგნის შესახებ ჩვენ პეტერბურღიდამ ჯერ არ მიგვიღია.

***

გუშინდელს „ობზორში" დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 3 მაისს მიღებული ქუთაისიდამ:

„ქუთაისის საადგილ-მამულ ბანკის დამწესებელთა კრებამ, რომელზედაც 400 კაცამდინ დაესწრო, მოისმინა ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკმა **ოცი ათასი** მან. შესწიროს, ვინიცობაა თუ კავკასიაში უნივერსიტეტი გაიხსნას, და ერთხმად გარდაწყვიტა: ხელმწიფე იმპერატორის 25 წლის მეფობის სახსოვრად კავკასიის უნივერსიტეტისათვის შეიწიროს **ორმოცი ათასი** მანეთი."

***

კოტრების სია ნელ-ნელა მატულობს: ამ დღეებში გაკოტრდა ვაჭარი მანდენოვი, რომელიც თამამშოვის ქარვასლაში ვაჭრობდა.

ამბობენ აგრეთვე, რომ ამ მოკლე ხანში გამოაცხადებს თავის გაკოტრებას ფრანცუზი ერივიე, რომელსაც ძალიან დიდი ვაჭრობა და აღებ-მიცემა ჰქონდა სამზღვარ გარეთთან. ჩვენ გავიგონეთ, რომ ამ ერივიეს მარტო სამზღვარ გარეთ ნახევარ მილიონამდინ ვალი დასდებია; აქაურებისა კი თორმეტ ათას თუმნამდინ იქნებაო.

***

თითქმის მუდამ დღე რამდენიმე ასი კაცი აისორები და ახლად სპარსეთიდამ ჩამოსული ხალხი იგზავნება ხოლმე ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში კალიის გასაწყვეტად. თითო მუშას დღეში ექვსი-შვიდი შაური ეძლევა; ქირას ზოგს ქალაქი აძლევს და ზოგს კი მთავრობა.

არა გვგონია, რომ ამათ ბევრი რამ გაარიგონ, რადგან ცოცხები არა აქვთ და არც რიგიანი ზედამხედველი, მუშაობის წამძღოლი ჰყავთ. თითო-ოროლა რაღაც წნელი უჭირავთ ხელში და ბალახზედ სცემენ—ასე რას დააკლებენ კალიას. ამას წინათ ნემცების კოლონიასთან, მუშტაიდს იქით რომ მუშაობდნენ, ერთმა ნემეცმა რამდენიმე ფართო ტილოს ნაჭერი მისცა ხალხს, იმაზედ მოაქუჩეს კალია და მერე ერთად გაჟლიტეს; ამ გვარის საშუალებით ცოტა რასმეს გაკეთება კიდევ შეიძლებაო და ასე წკეპლების ცემით ათასში ერთიც ძლივს იხოცებაო.

სოფლიდამაც ამისთანა საჩივრის ამბავი მოგვდის: გავდივართ მინდორში, რაც შეიძლება ვმუშაობთ, მაგრამ ბევრი არა გამოდის-რაო: დიდი ბალახი არისო, დავჰკრავთ ცოცხს, ერთ წყებას გავჟლეტთ, მაგიერად ათი იმოდენა კიდევ ამოდის ბალახიდამაო.

საზოგადოთ, როგორც გვესმის, სოფლის ხალხი იმედ-გარდაწყვეტილია, სასოწარკვეთილებას მისცემია: რამდენიც ათასიც ვეცადოთ, იმდენი კალია არისო, რომ მაგდენს ვერას დავაკ- ლებთო,—ასე ამბობს თურმე სოფლის ხალხი.

***

გაზეთს „გოლოსში" შემდეგ ცნობებს იწერებიან ბათუმის მაზრიდამ:

„წლევანდელის მკაცრ ზამთრისა და სიძვირისაგან ყველაზე უფრო მომეტებული ზარალი ამ ახლად-შეძენილ მაჰმადიან საქართველოს მიეცა, რომელსაც ჯერაც ვერ წამოეწია წელი გავლილ ომის შემდეგ. ხალხი დიდს გაჭირებაშია და ამით ყველაზე უფრო ოსმალოს აგენტები სარგებლობენ: ისინი ავრცელებენ ხალხში აზრს, რომ ღმერთი ჰსჯის იმათ ქრისტიანთ ქვეშევრდომად დარჩენისათვის, რომ ოსმალეთში ისინი ერთი-ათად უკეთ იცხოვრებენ, რომ ფადიშაჰ ყოველ უპირატესობას მიანიჭებს იმათ, თუ გადაესახლებიან და სხვ. ბევრი შეაცდინეს ამ აგენტებმა ამ გვარის ქადაგებით: ქვემო-აჭარის მცხოვრებლები თითქმის სულ ერთიანად გადავიდნენ და ამ გაზაფხულზე, როგორც ისმის, სხვა მხრებიდამაც ბევრი აპირებს გადასახლებას."

***

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ბათუმიდამ ბ. ს. დ. ყიფიანისაგან 50 მან. და 68 კაპ., რომელიც შემოსულა 23 აპრილს გამართულის სპექტაკლიდამ ერევნის დამშეულების სასარგებლოდ. ბათუმის ქართულ სცენის მოყვარეთ წარმოუდგენიათ: „ესეც შენი მოციქულობა!" და „ცოლი თუ გინდათ, ეს არი!"

ეს ფული ჩვენ აქაურ სომხურ გაზეთის „მშაკის" რედაქციას გარდავეცით და ფულის მიღების კვიტანცია ჩამოვართვით.

***

მეტეხის ციხის ტუსაღებისა ბიბლიოთეკისათვის ჩვენ მივიღეთ ბ. იოსებ დავიდოვისაგან შეწირული შემდეგი ქართული წიგნები: „ფსალმუნი დავითისი" — 1 ეგზემპლიარი, „ბოგია მეჩანგური," თ. აკაკი წერეთლისა—2 ეგზ., „ცოლი თუ გინდა, ეს არი!"—1 ეგზ. და „ნინო" თ. რაფ. ერისთვის მოთხრობა—1 ეგზ.

„დროების" რედაქციამ ამავე მიზნით შესწირა შემდეგი ქართულივე წიგნები: სახარება—1 ეგზ., „ბანჯღვლიანი ფუტკრის ამბავი"—1, „ჰაეროსტატი"—1, „მოდი და ენდე ქალსა!"—1, „ეთერიანი"—1, „ფსალმუ-

---

ველთვის სუსტად უნდა ვისწავლოო; თან ისიც აგონდებოდა—თუ დედას როგორ შეაწუხებდა ამით. ოჯახის მოძღვარი ხანდის-ხან სწერდა ხოლმე მიხაკოს წერილებს ზალესინიდამ და ყოველს წერილს ამ სიტყვებით ათავებდა: „გახსოვდეს, მიხაკო, რომ დედის-შენის სიცოცხლე და ჯან-მთელობა შენს წარმატებაზეა დამოკიდებული."

მოახლოვდა შობის დღესასწაული. მიხაკოს სწავლის მოწმობა როგორი იქნებოდა, ამას ადვილათ მიხვდებით. დედა მისს მივწერე, რომ ბავშვს სისუსტის და გაკვეთილების სიმრავლის გამო, გიმნაზიიდამ გამოყვანა დასჭირდება და სოფელში წაყვანა ტანმრთელობისათვის-თქო. ცოტა ხნის შემდეგ მივიღე პასუხი ჩემს წერილზე. მარიამი დამეთანხმა.

მიხაკოსთვის მე არ გამიმხელია ამ წერილის მიღება, რადგან მისი აღშფოთება არ მსურდა; ის კი ვუთხარი, რომ დედა დააფასებს მისი მეცადინეობას და ცუდ მოწმობას ყურადღებას არ მიაქცევს-მეთქი. ჩემი სიტყვები საამოთ დაურჩა და მხურვალეთ ტირილი დაიწყო: „რამდენ მწუხარებას ვაძლევ დედა-ჩემსო", ამბობდა ყმაწვილი ცრემლის ღვრით.. ტირილის დროს ტუჩებზე ღიმილი მოსდიოდა, როდესაც დედა, პატარა ლიოლია., მოძღვარი და სახლში წასვლა მოაგონდებოდა.

მეც მოუთმენლათ მივეშურებოდი ზალესინოსკენ, რადგან გულ-გრილათ ვერ ვუყურებდი ყმაწვილის მდგომარეობას. სახლში მიხაკოს ელოდა დედის ალერსი, ყურადღება და მოსვენება. სწავლა იქ მიიღებს ყმაწვილის გულის მიმზიდველ, კაცობრიულ ხასიათს; იქ სამშობლოა, ჰაერი წმინდაა და გული თავისუფლათ და ტკბილათ ძგერს. თითებზე ვთვლიდი დღეებს, რომლებიც რჩებოდა უქმეებამდი.

მაგრამ მიხაკოს კი ახალ-ახალ მწუხარებას უმატებდნენ; თითქო ყველაფერს პირობა შეეკრას, რომ სტანჯოს იგი. იმ ენის საფუძვლიანათ შესასწავლათ, რომელსაც გიმნაზიაში ოფიციალურათ ხმარობენ, მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომ ყმაწვილებმა მხოლოთ ამ ენაზე ილაპარაკონ. ეს ბრძანება მიხაკოს დაავიწყდა და როგორც სხვების შემაცდენელ შაგირდმა საზოგადოთ შენიშვნა მიიღო. ამ შემთხვევამ დიდი გავლენა იქონია იმაზე, რადგან ეს უქმეების წინ დაემართა. რა არ მოსდიოდა საცოდავს ფიქრში! თვალ-წინ ედგა სინათლის მაგიერ გაუკვალავი წყვდიადი... ბოლოს და ბოლოს თერთმეტი წლის ყმაწვილის სახემ მიიღო ტრაღიკული გამომეტყველობა: თითქო ცრემლები ყელში მოდგომოდა და ქვითინს ძლივს იჭერდა. ხანდისხან, თვალებში რომ შევაცქერდებოდი, დატყვევებულ ჩიტათ მეჩვენებოდა; ხშირად ფიქრები გაიტაცებდნენ; მოძრაობა რაღაც უაზრო შეექნა და ხმა—უსიცოცხლო. ხანდისხან, თუ თავისუფალ დროს შევამჩნევდი, ვეტყოდი გავისეირნოთ-თქო; უარს არ მეტყოდა: აიღებდა ქუდს, გამომყვებოდა უკან და ერთს ხმასაც არ ამოიღებდა.

გული მიწუხდა, ამ უდროოთ დამჭკნარ ყმაწვილს რომ ვუყურებდი; პირველ შეხედვით ნორმალურ მდგომარეობაში გვგონებოდათ; ნამდვილათ კი თან-და-თან სჭკნებოდა და უძლურდებოდა; ბოხჩაც კი ემძიმებოდა...

დადგა უქმეები. მარიამმა ზალესინოდგან ცხენები გამოგვიგზავნა; გვწერდა, სიამოვნებით გელითო და წერილს ათავებდა აი ამ სიტყვებით: „მე გავიგე, რომ შენ, მიხაკო, სწავლა გიჭირს და კარგ ნიშნებს არ მოელი; მაგრამ მსურს, რომ ყველა მასწავლებელი იმ აზრის იყოს შენზე, როგორისაც მე ვარ, რომ შენ, შენის მხრით, ღონის-ძიება არ დაგიკლია და კარგი ყოფაქცევით დაამცირებ გლახა ნიშნების მნიშვნელობას".

სამწუხაროთ, მასწავლებლები სულ სხვა აზრის იყვნენ,—მაშასადამე ეგ იმედიც დაიფუშა. ნემეცური პედაგოგების აზრით, მარტო ისეთი ყმაწვილები არიან კარგი ყოფაქცევისა, რომელნიც გაულიმებენ იმათ, რომელნიც, თუ ნემეცები არ არიან, მათს სამშობლოს, სამშობლო ენას და ჩვეულებებს აძაგებენ. ამ შეხედულობის ძალით მიხაკო, როგორც გარყვნილი, უნიჭო ყმაწვილი და კლასში ტყუილ-უბრალოთ ადგილის დამჭერი, გამორიცხეს გიმნაზიიდამ...

(დასასრული შემდეგ №-ში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი დავითისი"—1, „სურამის ციხე"—1, „პატარა ბიბლიოთეკა"—1, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"—1 და „ალექსანდრე ჯამბაკურიან ორბელიანის ნაწერი"—1 ეგზ.

* * *

სენაკის მაზრის სოფ. საელიავოდამ გვწერენ, რომ ძველი წმ. ხარლამპის სახელობაზე ეკკლესია გვქონდაო; შარშან გადავაკეთეთო და მაშინვე მთავრობამ გამოგვიცხადაო, რომ ამ ეკკლესიაში მიცვალებულების დამარხვა აღარ გაბედოთო. გლეხები ვასრულებთ ამ გონიერ განკარგულებასაო; მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ ჩვენს მღვდელსა და ბლაღოჩინებს აქაურ აზნაურებ მლიავებში ნათესავები ჰყავთო და როგორც უნდათ, ისე ახერხებენ საქმესაო, ეს აზნაურები დღესაც შუაგულ ეკკლესიაში მარხავენ თავიანთ მიცვალებულებსაო. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ ეკკლესიის გაკეთებაში აზნაურებს ერთი გროშიც არ დაუხარჯავთ და გლეხებზე უფრო მომეტებულ უფლებას კი ითვისებენო. ჩვენი გლეხი-კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში მაინც გლეხი და აზნაური ერთსა-და-იმავე კანონსა და განკარგულებას უნდა ვემორჩილებოდეთო.

## „დროების" კორრესპონდენცია

**სოფ. მელაანი** (სიღნაღის მაზრაში) 29 აპრილს. თუმცა მელაანელებმა დიდი შიმშილი გამოიარეს ამ წელში და აღდგომასაც მშიერის მუცლით მიეგებნენ, მაგრამ წრევანდლისანა ბედნიერი აღდგომა თავის დღეში არა ყოფილა მელაანელებისათვის. წრევანდელი აღდგომა ნამდვილი ბედნიერი დღე იყო როგორც გლეხები ეძახიან საუფლო დღეებსა:

დღეს ეკკლესიაში წირვაზედ ხალხის წინ იდგა თორმეტი ყმაწვილი: ცხრა ქალი და სამი ვაჟი. ამ ყმაწვილებს ეცვათ ერთ ნაირათ: ქალებს წითლიანი ჩითის კაბები შავი ფართუკებით, იასამანი თავზედ მოსახვევები, ჩულქებიეთ მაღალ-ყელიანი წინდები და ახალი ბაშმაკები; ვაჟებსაც-წითლიანი ჩითის ბლუზები, შავი შალვრები, პაჭიჭები და ჩუსტები. ყმაწვილები იდგნენ ორ-პირად მწკრივზედ და მოწიწებით უჭერდნენ პირჯვარს.

ყველა ეკკლესიაში მყოფი ხალხის ყურადღება ამათკენ იყო მიქცეული; იმათ ყურებაში ხალხს დაავიწყდა თავისი უწინდელი ჩვეულება (ერთმანეთის სანთლით თმის შეტრუსვა). ყმაწვილებს გვერდით ედგათ ერთი თავადის ქალი. ვინ იყვნენ ის ყმაწვილები ან ამით გვერდით მდგომი ქალი?

ყმაწვილების გვერდით მდგომი ქალი იყო მელაანურივე მებატონის თ. ზაქარია იესეს ძე ანდრონიკოვის ასული ნინო. ნინომ წარსული 1879 წელი შეასრულა ტფილისის საქალებო გიმნაზიაში კურსი, და როგორც ეტყობა, იმას გიმნაზიაში ყოფნის დროს, ზოგი ქალებივით, ბევრი რომანების კითხვით არ შეუდგენია ჩინებითა და ფულებით სავსე ქმრის იდეალი, რომ იქიდამ გამოსვლის უმალვე თავის იდეალის განცხოველებას შესდგომოდა; იმას გამოუტანია გიმნაზიიდამ ის კეთილ-შობილური აზრი, რომ ბედისაგან დაჩაგრულ ხალხს რითაც შეუძლიან დაეხმაროს..

ამ კეთილის აზრით, კნიაჟნა ნინომ მოინდომა შეკრეფა რამდენიმე გლეხის შვილებისა სასწავლებლათ, რადგანც მელაანში არ იყო შკოლა. მამამ თ. ზაქარიამ მისცა სასწავლებელი ოთახი თავის სასახლეშივე და აჩუქა ათი თუმანი ფული. ნინომ შეკრიფა სულ ობოლი ყმაწვილები: ცხრა ქალი და სამი ვაჟი: უყიდა იმ ათი თუმნიდამ სასწავლო ნივთები და ტანისამოსი და ამ წლის თებერვლისათვის ყველაფერი მოამზადა, რომ დაეწყო სწავლება ყმაწვილებისათვის.

როგორც ყმაწვილების შეკრებაზედ და იმათ ჩაცმაზედ თავ გადადებით ცდილობდა, ისე ყმაწვილების სწავლებაში გამოიჩინა ახალგაზრდა ქალმა დიდი მეცადინეობა და მოთმინება. რამდენ-ჯერმე დავესწარ იმასთან ამ დროს, როდესაც ის ასწავლიდა ყმაწვილებს და ყოველთვის მისტუმრებდა მშვენიერის შთაბეჭდილებით. ისეთის ენერგიით და ხელოვნურად ასწავლის, რომ მეტი არ შეიძლება მოვკითხოთ თვით სპეციალურათ გაზრდილ პედაგოგსაც. ენერგიას უძლიერებს საკვირველი მოთმინება და თავმდაბლობა, იმის პირიდამ გაჯავრების მაგიერად სიცილი ამოდის. ისე ექცევა თავის შაგირდებს, როგორც თავის ამხანაგებს.

თავისის კეთილი გულით და მოქმედებით ქალმა თითქმის ეჭვში შეიყვანა ხალხი: როგორც მოგეხსენებათ გლეხების ჭორი, ათას ნაირი კუდი გამოაბეს ამ ქალშვილის მოქმედებას: ზოგი ამბობდა, ჯარში უნდა გაგზავნონ ყმაწვილები ავათმყოფების სარჩენათაო, ზოგი რასა და ზოგი რას. ჩვენ ხალხს არა სჯერა, რომ ქვეყნიერობაზედ იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც უფას-პატიოთ ეხმარებოდეს საწყალ ხალხს...

თ. ზაქარია ანდრონიკოვმა აღუთქვა შკოლას რომ ყოველ წლივ შესწირავს ათ-ათი თუმანს ფულს და გარდა ამისა აჩუქა ათი დღის მიწა და საშკოლე ადგილი. „თუნდა მე მოკვდეო, ჩემ შვილებს გავხდი მოვალეთ, რომ ყოველ წლივ ათ-ათი თუმანი შესწირონ მელაანის შკოლასაო". ისეთი შვილები ეზრდება. ზაქარიას, რომლებიც ამისთანა კეთილ საქმეში დახმარებაზედ უარს არ იტყვიან.

ხალხი შეეჩვევა შკოლას. შეგირდების პატრონები ალტაცებაში მოდიან, როდესაც ჰხედავენ თავიანთ შვილების ნალაპარაკევს ანუ იმათ წიგნის კითხვას. ვისაც არ მიუყვანია, ეხლა სთხოვენ ნინოს, რომ იმათი შვილებიც მიიღოს.

მაგრამ ესეც უნდა ვიფიქროთ, ექნება თუ არა დიდი ბოლო ამ კეთილ საქმეს? კნიაჟნა ნინო, როგორც ქალი, არ არის თავისუფალი, რომ ეს კეთილი საქმე თავის სიცოცხლეში არ მოსპოს: ის მთელ სიცოცხლეში სოფ. მელაანში არ დარჩება. სოფელიც არ არის დიდი, რომ თითონ ხალხმა იკისროს საბოლოვო შკოლის გამართვა; მაშასადამე ნინოს მელაანიდამ გადასახლების უმალვე უნდა მოისპოს იმისი დაწყობილი კეთილი საქმე და თ. ზაქარიას დაპირებამაც ჩაიაროს ტყუილათ. მაგრამ ჩვენ სრულიად გვაიმედიანებს შკოლის ქონებაზედ „წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წესდების § 2, რომელიც ამბობს: „სადაც საჭირო იქნება, ახალი შკოლების გახსნას ეხმარება, ან თვითონა ხსნის თავის ხარჯით".

მინდოდა ჩემი აზრი წარმომეთქვა ამ მუხლზედ: კახეთ-ქიზიყში (ქართლში და სხვა საქართველოს კუთხეებშიაც უფრო ძალიან) ხალხი მოდის გრძნობაში და ეხსნებათ შკოლის სურვილი. რომელ სოფელშიაც სამას კომლზედ მეტი მცხოვრებია და აქამომდე არ გამართულა შკოლა, დღეს თუ ხვალ გაიმართება და იმ შკოლების ხარჯსაც თითონ სოფლებივე იკისრებენ; რომელ სოფლებშიაც ორას ზედ ან ასზედ მეტი კომლი არ არის, ის სოფლები, რაც უნდა სურვილი ჰქონდეთ შკოლისა, ვერ იკისრებენ შკოლის ხარჯსა და თავის დღეში ვერ ეღირსებიან შკოლას. ჩემის აზრით, ამისთანა სოფლებს უნდა დაეხმაროს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". სწორეთ ამისთანა სოფელი არის მელაანი (ას კომლზედ ცოტა მეტია). რადგანაც მელაანელები დღეს თვალით უყურებენ სწავლის ნაყოფს, დიდ კმაყოფილებას გამოაცხადებენ და შეძლებისა და გვარად კიდეც დაეხმარებიან „საზოგადოებას", თუ იგი მაინდომებს მელაანისათვის ამ სიკეთეს.

მელაანში არ არის ბევრი ოთხფეხი საქონელი: სულ ექვს-ასი სული არ იქნება. ეს საქონელი ეკუთვნის სამოც კომლ კაცს. ზოგს იმათგანს უღელ-უღელი ხარი ჰყავს, ან მოჯამაგირე უჭირავს უღელის ხარის მოსავლელათ, ან თითონ პატრონი სცდება იმათ მოვლაში. პატრონების მოცდენა რომ არათ ჩავაგდოთ და მარტო მოჯამაგირეები ვიანგარიშოთ, ორმოცამდინ მაინც შაგვიდგება იმათი რიცხვი. რაც უნდა პატარა ბიჭი იყოს, წელიწადში სამ თუმანზედ ნაკლებ არ დადგება მოჯამაგირეთ, ტანისამოსი და საჭმელი სხვა არის; ასე რომ უღელი ხარის პატრონს წელიწადში ეხარჯებოდა უკანასკნელი ექვსი თუმანი ფული. თითო მოჯამაგირეზედ რომ ექვს-ექვსი თუმანი ვიანგარიშოთ წელიწადში, ორმოც მოჯამაგირეს ერგება სოფლიდამ ორას ორმოცი თუმანი. ეს სულ უკანასკნელი გასავალია მელაანისათვის, თორემ რატო ორი ამთენიც არ ეხარჯება მეძროხეებზედ.

გარდა ამისა ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ, თუ გლეხი პატარაობითვე ძროხაში სიარულს შეეჩვევა და სამიოდ-ოთხი წელიწადი დაჰყო ძროხაში, სამუდამოთ გაფუჭდება: ძროხაში ეჩვევა ძილსა და სიზარმაცეს, მუშაობას, ველარ ახერხებს, ან უნდა მეძროხეთ წავიდეს, ან უნდა იქურდოს.

ესენი ყველაფერი კარგათ იგრძნო თ. ზაქარია იესეს-ძე ანდრონიკოვმა და ამის მოსასპობლათ მისცა მელაანელებს რჩევა, რომ დაეჭირათ საქონლის მოსავლელად მარტო ოთხიოდ-ხუთი მენახირე. აი დღეს აასრულებინა კიდეც თავისი რჩევა. შეიყარნენ საქონლის პატრონები, დაწერეს თითონ ზაქარიასთან განჩინება ოთხი მენახირის დაჭერაზედ, გადადვეს იმათთვინ ორმოც-და-რვა თუმანი ფული; მენახირეებსაც ჩამოართვეს პირობის წერილი. რომ უფრო ფიცხელათ მოსჭიდებოდა ხალხი ამ საქმეს, თ. ზაქარიამ საძოვარი ადგილები უფასოდ მისცა მელაანელებს თავის ამულებში მენახირეობის დაფუძნებით ერთი ათად შეუმსუბუქა მელაანელებს საქონლის შენახვის ხარჯი.

ძალიან კარგი იქნება, რომ სხვა სოფლებმაც მიჰბაძონ ამ საქმეს, დააფუძნონ მენახირეობა. უფრო უკეთესი ის იქნება, რომ მაზრის უფროსმა გასცეს სოფლებში დარიგება მენახირეობის დაფუძნების შესახებ; იმის დარიგებას გლეხები ძირს არ დაუშვებენ, დაფუძნდება სოფლებში მენახირეობა და ამითი დიდი შაღავათი მიეცემა გლეხ-კაცობას.

ვეჯინის შკოლის მასწავლებელი.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** რუსული გაზეთის „გოლოსი" ვენელი საკუთარი კორრესპონდენტი ტელეგრამმით აცნობებს ამ გაზეთს შემდეგსა: „აქ მოვიდა ამბავი, რომ ალბანიელებს გამოუცხადებიათ თავიანთი დამოუკიდებლობა. ეს განცხადება დაბეჭდილია ალბანიურ გაზეთში, რომელიც სკუტარიაში გამოდის. ოსმალოს მოხელენი გადააყენეს თანამდებობებიდამ, და ხაზინებში შენახული ფულები ალბანიის კავშირმა სულ ერთიანად ჩაიგდო ხელში. უცხო ქვეყნების დესპანთა დასაცველად კავშირმა დააყენა დარაჯები. უწესოება ქალაქში არ მომხდარა.

თუ რამდენად საყურადღებოა ალბანიის ეხლანდელი საქმეები, იქიდამ სცნობთ, რომ ოსმალური დროშა საგვარტომო დროშაზედ შესცვალეს და ოსმან-ფაშის მთელმა ჯარმა უარ-ჰყო ხონთქრის ქვეშევრდომობა და მიემხრო ალბანიელებს. სკუტარიაში დგანან 5,000 ალბანიელები, და იქვე მოელიან იტალიიდამ კეთილ-სურვილით დამხმარე მეომრებს.

—

გეშენი ხუთს (ჩვიდმეტს) მაისს წავა სტამბოლში. ჰფიქრობენ, რომ იმის დანდობილების პირველ საქმედ რიგიან წესდებულებათა შემოღება იქნება იმ პროვინციებში, რომელთაც ჯერ არ ღირსებიათ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება.

# განცხადებანი

## ზინგერი ნიუ-იორქში

ყველაზედ უდიდესი საზოგადოება საკერავი მაშინებისა, მთელს ქვეყანაში ცნობილი მაგარის და მშვენიერად გამართულის მაშინებითა, რომელნიც გამოსადეგნი არიან როგორც შინაურს საკერავ მუშაობაში, აგრეთვე მასტერსკაებში. ეს მაშინები ყველა სხვა ფაბრიკანტების მაშინებსა სჯობიან ზინგერის საზოგადოებამ აპრილის თვიდამ როგორც სხვა ქალაქებში, ისე თფილისშიაც გახსნა საკერავი მაშინების მაღაზია (სკლადი) ატამანის ქუჩაზე, ერევნის მაედნის მახლობლად, ზუბალოვის სახლებში.

ვინც ამ მაშინის მოხმარება არ იცის, აქვე მუქთად ვასწავლით.

აქვე გაფუჭებული მაშინები მიიღება გასაკეთებლად.

საზოგადოების აგენტი სთხოვს კერძო პირთ და აგრეთვე იმ მაღაზიების პატრონებს, რომელნიც საკერავ მაშინებით ვაჭრობენ, ნუ შესცდებიან და ნუ იყიდიან სხვა ფაბრიკანტების მაშინებს, რომელთაც ზინგერის ფირმა მიითვისეს.

## ქალაქის გარეშე მცხოვრებთ

პრეის-კურანტის (მაშინების სიის და ფასების) მისაღებად შეუძლიანთ თფილისში მოიწერონ წერილი, აგენტი მუქთად აუგზავნის ამათ დაუყოვნებლივ პრეის-კურანტსაც და პასუხსაც იმ ენაზედ, რა ენაზედაც წიგნი იქნება მოწერილი.

აგენტის ადრესსი

**Нейдлингеръ. Тифлисъ.**

უმთავრესი აგენტი რუსეთისა და დასავლეთ ევროპისა. (3—3)

---

პარასკევს, 9 მაისს
ალექსანდროვის ბაღში იქნება

## ლატარეია—ალეგრი

თფილისის ქველ-მოქმედ საზოგადოების შკოლებისა და ემაწვილების თავ-შესაფარ სახლისათვის (პრიუტ).

ბაღში შესვლის ფასი — 20 კაპ.

ბილეთის ფასი — — 20 კაპ

დაიწყება დილის 11 საათზე და გათავდება საღამოს 8 საათზე.

მოგება ლატარეის გათავების შემდეგ დაურიგდება.

თუ ცუდი ტაროსი იქმნა, ლატარეია სხვა დროისათვის გარდაიდება და ლატარეის დღე ხელ-ახლად იქნება გამოცხადებული.

ბაღში მუზიკის ორკესტრი დაუკრავს.

(2—1)

---

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ნოქალაქევის სამკურნალო წყლები** უწყებული თვისის მკურნალეობითა ალწერილობისა-მებრ დოკტორის პლემკოვსკისა და სხვა ცნობაებით, რომელიც იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში სენაკის მაზრაში სოფელს ნოქალაქევს, 18 ვერსტზედ დაბა ახალ-სენაკიდამ (სტანცია რკინის გზისა) უკანასკნელის 20 წლის განმავალობაში იყო მივარდნილი, უპატრონოთ მიტოვებული, ახლა კი ეს წყლები ჩემს განკარგულებაში არის საიჯარადროდ და კიდევაც მოყვანილია მადნის წყალი სრულს წესიერებაშიდ. ეს სამკურნალო წყალი სხვა წყლებთაგან განყოფილია და აყვანილია მილის საშვალობით 10 არშინზედ და გაშენებულია აუზები (ვანნები).

მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ აღნიშნულის წყლებით ფრიად ზომიერის ფასით და მრთელის პაერით, რომლითაც გამოჩენილია ნოქალაქევი.

მეორე გილდის ვაჭარი
ივანე ლაზარის ძე გვიშიანი.

(12—1)

---

საზაფხულო თეატრში
სამშაბათს, 6 მაისს
ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## მზის დაბნელება

საქართველოში

კომედ. სამს მოქმედ. ზ. ანტონოვისა

II

აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება აზნაუროვის მაღაზიაში და თეატრის კასაში

დასაწყისი 8 საათზე

---

ცეტერი **ძაღლი** ცეტერი,

შავი, თეთრი ნიშნით გულზე, სახელი „ტრუდორ" დაიკარგა ალექსანდროვის ბაღში, საღამოს 28 აპრილს.

მპოვნელს სთხოვენ მიუყვანონ ზუბალოვის სახლებში, გალავინის პროსპექტზედ, კანდიტერის კელბერის ზემო დამ. ბოლტარაცკის სადგომში,

---

სიმონ წერეთელს. ვინც მოიყვანს დირსულე ჯილდოს მიიღებს.

(შ.) (3—2)

---

დ. სტოცკიმ და სხვებმა, რომელნიც

## ახალ საქმეს იწყებენ (საზოგადოებას ადგენენ)

მაისის 3-დამ ერევნის მოედანზე, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, სურგუნოვის (მაკენშტოკის) სახლში გახსნეს დროებითი ბიურო (კანტორა) თავიანთ დაწყებულის საქმის გასაწყობად. აქვე მიიღება ამხანაგად ყველა, ვისაც ამ საქმეში მონაწილეობა ჰსურს, და შემდეგ, როცა ეს საქმე სისრულეში მოვა, აქვე გაიმართება კანტორა ვექსელით ფულის გასასესხებლად იმ საფუძვლით, რომელიც მოხსენებულია პროექტში და სხვა ამ გვარ კანტორებზე უფრო ნაკლები % (სარგებლით).

ბიურო გახსნილია მუდამ დღე დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ და საღამოს 6-დამ 8-მდინ.

(შ.) (3—2)

---

## კანტორა

ოდესსის ვაჭრის

## გრ. ზალინოვისა

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჭყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—2)

---

## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა გამოიწვევს მსურველთ ქალაქის ფარნების იჯარით განათებისას; სულ 1,400 ფარანი უნდა გინათოს კერასინით ამ ივლისის თვის 4-დამ სამის წლის ვადით ვიდრე 1883 წლის 4 ივლისამდინ.

ვაჭრობა დაიწყება ამ იჯარისა იქნება მაისის 27-ს ქალაქის გამგეობის თანა-დასწრებით.

ვისაც ამ იჯარის აღებაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, დაწერილებით პირობების (კანდიციების) ნახვა შეუძლიანთ გამგეობის უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღე გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშვადღევის 2 საათამდინ.

ვაჭრობა პირადათ შეიძლება და შეიძლება აგრეთვე, დაბეჭდილი კონვერტითაც გამოგზავნა პირობებისა.

(6—2)

---

საზოგადო კრება „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის", რომელიც დანიშნული იყო 26 აპრილს, ვერ მოხდა, რადგანაც წევრები საკმაოდ არ დაესწრნენ. ამიტომ, „წესდების" 7 მუხლის თანახმად, დანიშნულია მეორე კრება, რომელიც იქმნება 11 მაისს, დილის 10 საათზედ თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

(3—3)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 5 Мая 1880 г. Типографія Меликова. გ. ვომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი